ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №24

ქ. თბილისი

1 დეკემბერი 2018 წელი

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება" (შემდგომ „ხელშეკრულება") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ,მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებითი და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მითითებული.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების დირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინე

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, „ია3." საგარეჯოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის", დირექტორის ლეილა ოთარაშვილის სახით (საიდენტიფიკაციო კოდი 238156829, მისამართი: ქ. საგარეჯო კახეთის გზატკეცილი №13, ა/ა #GE24LB0330100200165022, ბანკის კოდი TRESGE22; მომსახურე ბანკი ს.ს „ლიბერთი ბანკი" სახაზინო კოდი 060101, სატრანზიტო ანგარიში 746137499 (შემდგომში „შემსყიდველი") და

მეორეს მხრივ, ი.მ. „გიორგი კანდელაკი - ვესტა" ქ. თბილისი, აღმაშენებლის №55/1 ს/კ: 01009005243 ტ: 2 96 19 31; 599 94 45 17; ელ-ფოსტა: vesta.gk@gmail.comსს „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა: ა/ა: GE75BG0000000888000801

3. ხელშეკრულების ღირებულება

მისაწოდებელი საქონლის ღირებულება შეადგენს 34 ლარს (ოცდათოთხმეტი)
1. 2-ცალი ტონერიანი კარტრიჯი-30125100.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ა. ი. პ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი ლეილა ოთარაშვილი.

5. საქონლის მიწოდების პირობები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების დაცვით.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს მიწოდებული საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

1.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაც) გაფორმების შემდეგ.

6.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების შედეგად გამოვლენილი უხარისხო საქონლის შეცვლას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით .

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

7.2 მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია წარმოადგინოს მიწოდებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი (იურიდიული პირის შემთხვევაში საგადასახადო ანგარიშ- ფაქტურაც).

7.3 შემსყიდველი ანგარიშსწორებას განახორციელებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის შემდეგ 30(ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7.4 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9. უფლებების გადაცემა

9.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით), სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

9.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტორის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

9.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

10.2 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა 0,1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს

მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს, ამ ხელშეკრულების მოქმედება ვადამდე შეწყდება.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი მეხედველობისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

238156829

ა.ი.პ."საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის"-ს

დირექტორი: /ლეილა ოთარაშვილი/

„მიმწოდებელი"

ი.მ. „გიორგი კანდელაკი - ვესტა"-ს დირექტორი: /გ.კანდელაკი/

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. თბილისი 1 დეკემბერი 2018 წ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ხელმეკრულებაზე უფლებამოსილი პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის შეძენილი იქნა 2-ცალი ტონერიანი კარტიჯი გამარტივებულ შესყიდვის საშუალებით, 2018 წლის 1 დეკემბრის N24 ხელშელრულების გაფორმება არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს აგიორგი კანდელაკთან.

შემსყიდველი:

საგარეჯოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დირექტორი: /ლ. ოთარაშვილი/